№ 60 1 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1877 1 თიბათვე, ოთხშაბათი № 60

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43.

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** ოთხი სტრიქონის ასოზე—1 კაპ., პეტიტ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონით—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე"

რომელიც **პირველი ივნისიდამ ყოველ დღე** გამოდის, შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში.

**ფასი გაზეთისა ამ 1 ივნისიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდე—5 მან.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

### რედაქციისაგან

ისეთი დრო არის ახლა, როდესაც ყველა ქართველი მოუთმენელად მოელის თუ ბრძოლის ველიდამ და თუ სხვა ქვეყნებიდამ ახალ, ცხელ-ცხელ ამბებსა.

ევროპაში ყველასათვის საყურადღებო პოლიტიკური მოძრაობაა; ჩვენ ცხვირის წინ, რუსეთსა და ოსმალეთს შუა, გაცხარებული ბრძოლა; ამ ბრძოლაში ჩვენი მიწის შვილებიც იღებენ მონაწილეობას. ეს პოლიტიკური მოძრაობა და ამ ბრძოლის კარგათ ან ავად გათავება, უეჭველია, ჩვენც შეგვეხება.

ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი და ის მოუთმენელი ცნობის-მოყვარეობა, რომელიც აღძრულია ამ ჟამად ჩვენს საზოგადოებაში.

და აი, ამ კანონიერი ცნობის-მოყვარეობისა და ინტერესის დასაკმაყოფილებლად, **ამ ივნისის** პირველი რიცხვებიდამ **ჩვენ ვიწყებთ გაზეთის ყოველ დღე გამოცემას** და ამნაირად გამოვსცემთ, სანამ ომი არ გათავდება.

საუბედუროთ, ფოშტის საქმე ისე ცუდათ არის ჩვენში გამართული, რომ ზოგიერთ ჩვენი ქვეყნის მხრებისათვის ამ ყოველ დღე გაზეთის გამოსვლას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ამ მხრებში ფოშტა კვირაში მხოლოთ ერთხელ ან ორჯელ მიდის ხოლმე.

მაგიერად თფილისისათვის, გორისთვის, ქუთაისისა და საზოგადოთ სხვა ყველა ქალაქებისა და სოფლებისათვის, რომელნიც ფოთი-თფილისის რკინის გზის ტრაქტზე მდებარეობენ, ყოველ დღე გაზეთის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ყველა ამ ადგილებში ხელის-მომწერლებს გაზეთი იმ დღესვე მიუვათ, რა დღესაც ის ქალაქში დაიბეჭდება.

საჭიროდ ვრაცხთ აქვე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი გაზეთის პროგრამმა არ შეიცვლება; მხოლოდ, რადგან ახლა სამხედრო „დრო მეფობს", ამის გამო მომეტებულ ალაგს გაზეთში ტელეგრამმებსა და ომისა და საპოლიტიკო ამბებს დაუთმობთ.

**გაზეთის ფასიც აგრეთვე ძველი დარჩება.**

ჩვენს კორესპონდენტებსა და შემთხვევით თანამშრომელებს უმორჩილესად ვთხოვთ, რომ ერთის მხრით გაზეთის დაპატარავება და მეორეს მხრით ომისა და პოლიტიკურ ამბებისადმი ჩვენში აღძრული მომეტებული ინტერესი მიიღონ მხედველობაში და ვრცელ, დიდ კორრესპონდენციებსა და სტატიებს ნუ იგზავნებიან გაზეთში დასაბეჭდათ.

## ტელეგრამმები

**ახალქალაქი,** 27 მაისს. პოლკოვნიკმა კომაროვმა 21 მაისს აიღო ოლთა და პენიაკი. ოლთაში 6 ბატალიონი ოსმალოს ჯარი იყო 12 ზარბაზნით; მიუახლოვდა თუ არა ქალაქს ჩვენი ჯარი, ოსმალოები არზრუმს გაიქცნენ. ჩვენ ჯარს დარჩა 2,000 თოფი და კაი მალი სურსათი.

**ლონდონი,** 28 მაისს. რუსის ელჩმა გრაფ შუვალოვმა თ. გორჩაკოვის წიგნი გარდასცა გუშინ ლორდ დერბის.

**კლოვეშტი,** 27 მაისს. დუქთან და კრესტაცთან ბრძოლის დროს სულეიმან-ფაშამ საგრძნობლად დაამარცხა ჩერნოგორიელები, რომელთ მხრითაც 600 კაცია დახოცილი. ოსმალოებმა დაიჭირეს კრესტაცი და ამურატოვიჩი.

დღეს ხელმწიფე იმპერატორი თავის მემკვიდრით ბუხარესტში მიბრძანდა, სადაც ხალხმა აღტაცებით მიიღო ისინი.

გუშინ ტურტუკაისთან ოსმალოებს თავის ბატარეის გამართვა უნდოდათ; მაგრამ ჩვენ ოლტენიციდამ დაუშინეთ იმათ ზარბაზანი და ბატარეის გამართვა არ ვაცალეთ.

**ს.-პეტერბურღი,** 29 მაისს. აქ დეპეშა მოვიდა, რომ ოსმალეთმა ნოტა გაუგზავნა ევროპის სახელმწიფოებსაო, რომელშიაც საბერძნეთის დაიარაღებაზედ უკმაყოფილებას აცხადებსო.

თესალიაში არეულობაა. მუსტაფელინ-ფაშა დანიშნულია თესალიაში დაყენებულის ოსმალოს ჯარის უფროსად.

**სტამბოლი,** 28 მაისს. გობარტ-ფაშა დაბრუნდა შავი ზღვიდამ და თან მოიყვანა, ბლოკადის დარღვევისათვის, დაჭერილი ბერძნების სამი ცეცხლის-გემი, რომელნიც სავსე იყვნენ პურითა.

**ბერლინი,** 29 მაისს. იმპერატორ ვილჰელმმა, თავის დაბადების დღეს, შემდეგი სიტყვა უთხრა აფიცრებსა: «მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ მე ცოცხალი ვიქნები, თქვენ ომში წასვლა არ დაგჭირდებათ.»

**ს.-პეტერბურღი,** 13 მაისს. სტამბოლიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ აქ ხალხი მალიან აღელვებული არისო და ყოველ დღე რევოლიუციას მოელიანო. ედიან-ეფენდი გაუგდიათ ოსმალეთიდამ. პარლამენტში მალიან გაცხარებული baasebia. მეჩეთების სახურავებიდამ ტყვიას ასხმენ.

**ათინა,** 30 მაისს. აქ მოვიდა ინგლისის რამდენიმე ცეცხლის-გემი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველი მცირე აზიაში

ახლანდელის ბრძოლის ველი მცირე აზიაში არის სომხეთი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, არზრუმის ვილაიეტი (ღუბერნია).

მთელი ეს მხარე ამაღლებული ადგილია და სავსეა მთებითა, რომელნიც სამზღვრავენ ერთის მხრით კავკასიის მთებს, მეორეს მხრით სპარსეთს და მესამეს ანატოლიას.

თითქმის ყველა მდინარეებს მცირე აზიისას (სომხეთისას, ქურთისტანისას და მესოპოტამიისას) აქა აქვთ თავიანთი სათავე; აქ იწყება: მდ. ჩურუქ-სუ, რომელიც ჩაერთვის შავს ზღვას, მტკვარი და არაქსი, რომელნიც კასპიის ზღვას ჩაერთვიან, და ორი შტო ეფრატისა და ერთიც ტიგრისა, რომელნიც სპარსეთის ზღვაში ვარდებიან.

ამ მდინარეების სიმრავლისა და მთების წყალობით, არზრუმის ვილაიეტში ზაფხულობით ძრიელ ზომიერი ჰავაა, თუმცა ზამთარი კი ძალიან თოვლიანი და სუსხიანი იცის. ბარში თავისუფლად მოჰყავთ ბამბა, ბრინჯი, ზეთის-ხილი და სხვა ამისთანა სამხრეთის ნამყოფი. მთებში კი მოსავალი, რასაკვირველია, უფრო ნაკლებია.

არზრუმის ვილაიეტში ითვლება სულ 610,000 მცხოვრებელი ორივე სქესისა. ამ რიცხვში 157,500 სომეხია, 2,800 ბერძენი და 22,600 ნესტორიანი (მაშ, სულ 183,000 ქრისტიანი); მაჰმადიანის სარწმუნოების მცხოვრებლები არიან: ოსმალოები—190,000, ქურთები—207,000, ყიზილბაშები—25,000, თათრები—2,900 და ჩერქესები—2,700.

გზები არზრუმის ვილაიეტში ძალიან ცუდია და, როგორც ეტყობა, აქაური ხალხი არც კი გრძნობს მაგდენათ ფართო, გაკრილ და მოკირწყლულ გზების საჭიროებას; ამის მიზეზი ის არის, რომ ხალხი მიჩვეულია ცხენით მოგზაურობასა და საქონელი კი თითქმის ყველგან მცირე აზიაში აქლემის და სხვა პირუტყვის საშუალობით გადააქვთ და გადმოაქვთ.

რადგან ბარში აქ ძნელად იპოება ტყე და წყალი, ამის გამო მომეტებული ნაწილი გზებისა მთის ძირებში გადის და წყლების ნაპირებზე. ამიტომაც სტრატეგიულის მხრით მცირე აზია ძალიან კარგს მდებარეობას წარმოადგენს.

რუსის ჯარი არზრუმის ვილაიეტში სამის მხრით შევიდა:

1) ახალციხიდამ—ჩრდილოეთით სამხრეთისაკენ; ეს გზა გადის არტაანზე, პენეკზე, ოლთაზე და ნარიმანზე პირ-და-პირ არზრუმს.

2) ალექსანდრაპოლიდამ—დასავლეთით და აღმოსავლეთით; ეს გზა გადის ყარსზე, დოლანლიზე, ხორასანზე და ჰასან-ყალეზედ.

3) ბაიაზეთიდამ—აღმოსავლეთით, თითქმის პირ-და-პირ.

ყველა ეს გზები, როგორც ჰხედავთ, არზრუმისაკენ მიდის. პირველი გზა—ახალციხიდამ არზრუმს მიმავალი—რუსების ხელშია მას აქეთ, რაც იმათ არტაანი აიღეს.

—

## ყარსი

რადგან უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად არის მიქცეული ყარსზედ, რომელსაც მთავარი ძალა ლორის-მელიქოვის კორპუსისა უკვე მიადგა ასაღებად, ამის გამო ურიგო არ იქნება ამ ციხე-ქალაქზე რამდენიმე ცნობა მოვიყვანოთ.

ყარსი აშენებულია მდინარე ყარს-ჩაის მოსახვევში. ქალაქს დასჩერებია მთაზე აშენებული სიმაგრე, რომელიც სულთანის მურად მესამესაგან იყო აშენებული და რომელიც 1828—1829 წ. აიღეს და დააქციეს რუსებმა. შემდეგ ეს ციხე განაახლა ინგლისის ღენერალმა ვილიამსმა. 1855 წელს რუსის ჯარი (მურავიევი) კიდევ დაეცა ამ ციხეს; ერთს ღამეს, იერიშის დროს, 6,000 რუსის ჯარი დახოცეს ოსმალეებმა. მაგრამ ბოლოს ყარსი მაინც იძულებული იყო დამორჩილებოდა რუსის ჯარს, რადგან იქ მყოფ მცხოვრებლებსა და ჯარს სურსათი შემოაკლდათ.

დღეს ყარსი თავის ახლად გაკეთებულის სიმაგრეებითა და ციხეებით პირველ ხარისხოვან ციხე-ქალაქათ ითვლება.

აღმოსავლეთის მხრით ყარა-დაღის მთაზე ამართულია ციხე, რომელსაც ჰქვიან სახელად ინგლიზ-ტაბია (ინგლისის ბატარეია); სამხრეთისაკენ არის ციხე მაჯარ-ტაბია (მადიარის, ვენგრიელის ბატარეია). ეს სიმაგრეები ორის პრუსიელის ინჟინრისაგან—ბლიუმისა და ბრიუნვალდისაგან—არის აშენებული. ამას გარდა ამ წლის მარტში მთელი ქალაქის გარშემო აშენებულია რედუტები, პატარა სიმაგრეები, რომლებსაც იცავს 48 კრუპის სისტემის ზარბაზანი, 57 ძველი სისტემისა და 11 მინდვრის ბატარეია.

ყარსში აქვთ ამჟამად ოსმალებს სულ—289 ციხის ასაღები და 66 მინდვრის ზარბაზანი.

ყარსის ჯარს შეადგენს 30 ბატალიონი ქვეითა რეგულიარული ჯარი, 6 ესკადრონი ცხენოსანი ჯარი, 14 მინდვრის ბატარეია და 2 ესკადრონი საპიორები, სულ—22,000 კაცი. ამ ჯარის უფროსები არიან ჰასან-ფაშა, ჰუსსეინ-საბრე და ახმედ-ფაშა.

—

## არზრუმი

არზრუმი დედა-ქალაქია სომხეთისა. აქედამ პირ-და-პირ დიდი შარა გზა მიდის ტრაპიზონამდინ, რომელიც ამ მხარეზე ოსმალეთის საუკეთესო ნავსადგურად ითვლება შავს ზღვაზე. ერთ დროს ძლიერ მდიდარი და მრავალ მცხოვრებიანი ქალაქი იყო არზრუმი; დღეს კი აქ მხოლოთ 50,000 სული ითვლება. 1828 წელს ის აიღეს რუსებმა. 1859 წელს არზრუმი მიწის ძვრამ დააქცია.

შორიდამ რომ შეხედავ არზრუმს, ძალიან გამაგრებული ქალაქი გეჩვენება; მაგრამ ახლოს რომ დაათვალიერებ, დარწმუნდები რომ მოტყუებული ხარ. ოსმალოს მმართებლობამ დიდ-ძალი ფული დახარჯა ამ ქალაქის გამაგრებისათვის და ტრაპიზონის გზის გასაყვანად.

არზრუმს იცავს: პატარა სიმაგრეები, მთავარი ციხე ქალაქისა და ციტადელი. პატარა სიმაგრეები აშენებულია ყაპ-დაღის მაღლობებზე; მტრის დაცემის დროს ამ სიმაგრეებს დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქის დასაცველად. საკუთრივ ციხე არის 12 ვერსის სიგრძეზე ქალაქს შემოვლებული, 30 ნაბიჯი სიფართით და 12 სიღრმე, თხრილი, რომელზედაც ალაგ-ალაგ ამართულია ზარბაზნებით მოწყობილი ციხეები. ციტადელი ძველი შენობაა ქალაქის შუაში და მტრის დაცემის დროს ოსმალოებს იმის ბევრი იმედი არა აქვთ.

ყველა ამ ციხეებში არის 150 სხვა და სხვა გვარი ზარბაზანი. არზრუმში ამჟამად, როგორც ამბობენ, 20.000 კაცი ჯარი არისო.

———

აფხაზების ოსმალოების მხრისაკენ გადასვლის თაობაზე ერთს ბელგიურს გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგი სტრიქონები იპოება:

„ჰუსეინ-ფაშამ რამდენიმე ასი ჩერქესი წამოიყვანა ბათუმიდამ; იმის პლანი იყო, რომ ეს ჯარი ხმელეთზე გამოეყვანა და ამათი შემწეობით აეჯანყებინა ადგილობრივი მცხოვრებლები—აბხაზები და დარჩენილი ჩერქესები; ერთის მხრით ესენი უნდა დასცემოდნენ სოხუმ-კალეს და მეორეს ამ ქალაქისთვის თვითონ იმას ზღვიდამ უნდა დაეშინა ყუმბარები.

„ეს პლანი ჩინებულად და ბეჯითად შესრულდა: აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ გამოვიდნენ ჩერქესები თუ არა ხმელეთზე, 10,000 კაცი აფხაზი იმათ იმ წამსვე მზად დახვდნენ და ყველანი იმათკენ გადავიდნენო. მაგრამ ესენი ძველი თოფებითა და ხმალ-სატევრით ყოფილან დაიარაღებულნი. სოხუმის აღების შემდეგ, ჰუსეინ-ფაშა დაბრუნდა ბათუმს და იქიდამ ხომალდებით მოუტანა ამათ ახალი თოფები, სხვა სამხედრო იარაღი და სურსათი.

„ოსმალოებისათვის ეს აბხაზების მიდგომა მოულოდნელი ამბავი არ იყო. ყველაფერი წინათვე ჰქონდათ მომზადებული, წინათვე ჰქონდათ აბხაზებთან მოლაპარაკება, რადგან ომს მოელოდნენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გამოვიდნენ თუ არა ოსმალოს ჩერქესები ხმელეთზე, იმ წამსვე კავკასიის ჩერქესები და აბხაზები მზად დახვდნენ და იმათ მხარესაკენ გადადგნენ....“

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი არტაანის აღება. ამ აღწერიდამ ცხადათ სჩანს, რომ არტაანის დაკარგვის მიზეზი თვითონ ოსმალოები ყოფილან: სულ არტაანის ციხეში ათი ათასი ჯარი ყოფილა და მომეტებული ნაწილი ამათგანიც ახლად შეკრებილი და ცუდათ დაიარაღებული ჯარი; მხოლოთ ერთი არტილერია იყო ძველი, გამოცდილის სალდათებისაგან შემდგარი და ესენი მარჯვედაც დაუხვდნენ მტერსაო. რუსის ჯარი, რომლის რიცხვი სულ 40,000 კაცამდინ ყოფილა, (10,000 კაცამდინ დეველის ატრიადი—ახალციხიდამ და დანარჩენი ლორის-მელიქოვის ზაიმიდამ), ეს რუსის ჯარი ოთხჯერ მივიდა იერიშით ციხეზედ; მაგრამ რადგან საშინელი სროლა იყო იქიდამ, ოთხივეჯერ იძულებული შეიქნენ, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ. როცა მეხუთეჯერ მიადგნენ ციხეს, მა-

შინ კი შეკრთა არტაანის კამენდანტი, (რომელიც სულ ახალგაზდა კაცი ყოფილა), მიატოვა თავის ალაგი და გაიქცა; იმას რამდენიმე სხვა ღენერალი და აფიცერი გაჰყვა და ამნაირად პირველი მაგალითი გაქცევისა ამ მოთავე კაცებმა უჩვენეს ჯარს; ამათ გაქცევის შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანს იყო ბრძოლა, განსაკუთრებული მხნეობა არტილერიამ გამოიჩინა; მაგრამ ბოლოს, როცა ეს უანგარიშო მტერი მოადგა ციხეს იერიშით, იძულებულნი იყვნენ გაქცეულიყვნენ და მიეტოვებინათ ყველაფერი.“

—

ერთს ინგლისურს გაზეთში შემდეგი ბათუმიდამ მიღებული ტელეგრამმაა დაბეჭდილი:

„ბ ა თ უ მ ი, 14 მაისს. გუშინ, პარასკევს მტერმა საშინელი ზარბაზნების და თოფის სროლა შეჰქნა ქინტრიშის ხეობაში; ჩვენ ამ სროლამ ვერა გვავნო-რა. დღეს რუსის ჯარი ქინტრიშამდინ ჩამოვიდა და ამ მდინარეზე ხიდის გადება მოიწადინეს; შეიქნა კიდევ ჩვენსა და იმათ შუა გაცხარებული სროლა და რუსები იძულებული შეიქნენ თავის განზრახვა მიეტოვებინათ და უკან დაბრუნებულიყვნენ. იმათ მხრით ბრძოლის ველზე დარჩა 20 მკვდარი და 56 დაჭრილი.“

—

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ არზრუმში ოსმალოებს ამ ჟამად 8,000 მეტი კაცი არა ჰყავთო და ტრაპიზონში სულ 10,000 კაცი არისო. მართალია, ამ მოკლე ხანში სტამბოლიდამ გამოგზავნეს აქეთკენ ახალი ჯარი და კიდევ აპირობენ გამოგზავნასაო; მაგრამ თუ მალე არ მიეშველნენ, ყარსი დიდხანს ვერ გაუმაგრდება რუსის ჯარს, რადგან ოსმალოებს აქ ხეირიანი არტილერია არა ჰყავთ და არც სურსათი აქვთ საკმაოთ მომზადებულიო.

—

ხონთქარი აბდულ-ჰამიდი ამ ივნისის 3-ს აპირებს სტამბოლიდამ დუნაის არმიაში წასვლას.

—

ამბობენ, რომ მცირე აზიაში გამარჯვებას ველარ მოელიან ოსმალეობიო. ახლა მთელი ოსმალეთის ყურადღება ერთის მხრით დუნაიზედ არის მიქცეულიო და მეორეს მხრით კავკასიაზედაო, სადაც, იმათის იმედით, აბხაზების მაგალითს სხვა მაჰმადიანებიც წაბაძვენ და რუსეთს გადაუდგებიან.

—

ამ კავკასიის მაჰმადიანების აჯანყებაზედვე ერთი ფრანცუზული გაზეთის კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება:

„მე ნამდვილად ვიცი, რომ შარშან შემოდგომაზე რამდენიმე სოფტი წავიდა კავკასიაში სტამბოლიდამ. ესენი აქ, ერთს ხელში ყორანით და მეორე ხელში რევოლვერით ან სატევრით, დაიარებოდნენ ჩუმათ ხალხში, აქეზებდნენ მაჰმადიანებს ქრისტიანების განსაკუთრებით რუსების წინაალმდეგ, და უქადაგებდნენ ამათ, რომ რუსების წინაალმდეგობას და ამოწყვეტას მაჰმადი თხოულობსო. რამდონიმე ამისთანა სოფტი რუსის მმართებლობამ კიდეც დაიჭირა.

„ამ ნაირად ოსმალოები ადრევე ამზადებდნენ აჯანყებისათვის კავკასიის მაჰმადიანებს; მაგრამ კიდეც რომ აღდგნენ არა მგონია, რომ იმათ ბევრი ზიანი მისცენ რუსეთს...“

—

ბათუმელი კორრესპონდენტი ერთის ინგლისურის გაზეთისა იწერება, რომ კავკასიის მაჰმადიანებში თან-და-თან ვრცელდება ხალხის ღელვა და ესენი მუდამ დღე ოსმალოს ჯარისაკენ გადადიანო; იმ ათი ათას ოსმალოს რეგულიალურ ჯარიდამ, რომელიც, ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, სოხუმში გამოვიდა, მომეტებული ნაწილი სოხუმში და სხვა პატარა ციხეებში არიან დაბანაკებულნი და დანარჩენი აქეთ-იქით გაგზავნილია მტრის შესაწუხებელად. საზოგადოთ აქ ოსმალოები გამარჯვებულნი არიანო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, კავკასიისაკენ წამოსულა, სხვათა შორის, შამილის შვილი, რომელსაც ჩერქესების ცხენოსანი ჯარი მოჰყავსო.

—

ინგლისურსავე გაზეთებში დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ გასული მაისის 17-ს ციხის-ძირის მახლობლად ფიცხელი შეტაკება ყოფილა ჩვენსა და ოსმალოს ჯარს შუა. დიდ-ძალი რუსის ჯარი ჩამოვიდა მთებიდამ, მოგვიახლოვდა და დაგვიწყეს სროლაო; ალი-ფაშამაც გამოიყვანა თავის ჯარები და დაიწყო საშინელი სროლაო. ოსმალოს ყუმბარებმა და ტყვიამ ძალიან დიდი ზიანი მისცა რუსებსაო ასე, რომ ისინი იძულებულნი შეიქნენ, ისევ უკანვე დაბრუნებულიყვნენო. სროლა ათის საათის განმავალობაში არ შეწყვეტილაო და ბრძოლის ველზე რუსებმა ბევრი დახოცილი დასტოვესო.

—

ამბობენ, რომ ყარსში ოსმალოებს მხოლოთ სამი თვის სამყოფი სასმელ-საჭმელი აქვთ; არზრუმში კი მარტო ორი თვისა.

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში გადაწყვეტით ამბობენ, რომ საბერძნეთი ივლისის დამდეგს გამოუცხადებს ომს ოსმალეთსაო.

—

ბრიუსელის ერთს ფრანცუზულს გაზეთში („ნორდში“), რომელიც რუსის მმართებლობის ოფიციალურ გაზეთად ითვლება, დაბეჭდილია, რომ, „როცა რუსის არმია დუნაიზე გადავა და ამნაირად შეასრულებს თავის პროგრამმას, მაშინ, თუ ევროპა მოინდომებს, რომ ოსმალეთს ჭკუის სასწავლებელი მაგალითი უჩვენოს, შეიძლება რუსეთი დათანხმდეს, ომიანობა უკიდურეს ხარისხამდინ არ მიიყვანოს და მოურიგდეს ამ სახელმწიფოს.“

—

ამ ჟამად, როგორც სამზღვარ გარეთის გაზეთებში სწერენ, ინგლისსა და რუსეთს შუა მოლაპარაკება არის, იმის შესახებ—თუ რა პირობებით უნდა მოხდეს მორიგება ოსმალოსა და რუსეთს შუა, ამ მორიგებაში რა სარგებლობას უნდა გამოელოდეს ინგლისი.—თუმც ეს მოლაპარაკება ძრიელ საიდუმლოდ მიჰყავთ, მაგრამ ისმისო, ამბობს ერთი ინგლისური გაზეთი, რომ ეს მოლაპარაკება მალე გათავდებაო, რუსეთი თანხმდებაო, რომ მას ოსმალოს სლავიანურ ხალხების (ბოსნიის, ჰერცოგოვინის, ბოლგარიის და სერბიის) მფარველობა იმას მიენიჭოს და გარდა ამისა რომ ერთი ნაწილი სომხეთისა დაუთმოს ოსმალეთმა. ინგლისი კი ამის სამაგიეროდ თხოულობს თავის მფარველობას სტამბოლზე და სუეცის არხზე.

---

**ახალქალაქი**, 25 მაისს. („დროების“ კორრესპ.) არტაანის აღებამდე ახალქალაქი დიდ შიშში იმყოფებოდა; აქაური ხალხი წარსულ ომიანობის დროს იგონებდა—„ვაი თუ კიდევ ის დღე ვნახოთ.“ მაგრამ ეხლა ყარსს შეჰსცქერიან, ვნახოთ ყარსი რას გვეტყვისო.

არტაანმა ძალიან გაიტყუვა აქაური და ახალციხელი ხალხი, დიდით პატარამდე ატრიალს უკან დაედევნენ და ბევრმა კარგათ მოითბეს ხელები, რადგან თუმნის საღირელ ნივთს აბაზ—ორ შაურათ შოულობდნენ. ამ ბოლოს დროს კი აღარავითარ საქონლის გადმოტანის ნებას აღარ აძლევენ.

როგორც მოგეხსენებათ, ფულის სიხარბესაც ხანდისხან ხიფათი მოსდევს, და ვერც ესენი გადარჩნენ უიმისოთ: ამ ერთი კვირის წინათ, აქ ხმა გავრცელდა, რომ აქაურები ოსმალებს ტყვეთ წაუსხამთო. ის მტერი შეგილონდეთ, როგორც ამ ამბავმა ახალქალაქელები შეაღონა და დღე-დღეზე მოველოდით ნამდვილ ამბავს, და აი ამ თვის 22-ში შევიტყეთ, რომ არტაანიდგან მიმავალი ყარსისკენ აქაურები 15 კაცი, ახალციხელი 2 და ამავე მაზრისაც 2 კაცი თავიანთ სავაჭროთი, რომელიც შეადგენდა 17 ურემს დატვირთულ სხვა-და-სხვა სასმელებით, სანოყივროთი და საწვრიმალოთი, ოსმალებს გზაზედ შეუპყრიათ. სამოცამდე მეტი დაიარაღებული ცხენოსანი ოსმალები დასცემიან, რაც ხეირიანი რამ ტანისამოსი სცმიათ და ან ფული თუ ჰქონიათ, წაურთმევიათ, რომელ ურმებზედაც ღორის ქონი ან ღვინო და არაყი წყებულა, ისინი გზაზედ დაუყრიათ და ეს ცხრამეტი კაცი, შებმული სავსე ურმები თავიანთ მეურმეებით ფაშისთვის წარუდგენიათ.

ამ ამბავმა მთელი ახალქალაქიააშფოთა და მათი მშობლების და სხვა ნათესავების ვაი-ვაგლახ და ტირილს დასასრული აღარა აქვს.

ამ ჟამად ახალქალაქში ბუზივით ირევიან მიმავალი ჯარები, დატვირთული ფურგუნები, ურმები, ჩალვადრები და სხვა, რომელნიც განუწყვეტელათ მიეზიდებიან ბრძოლის ველისკენ სხვა-და-სხვა საომარ საჭიროებას. ამ გვარათვე განუწყვეტელათ მოეზიდებიან არტაჰანიდგან ზარბაზნებს, თოფის წამალს, თოფებს და სხვ.. ჯერ-ჯერობით ახალქალაქის მოედანზე 37 არტაანში წართმეული ზარბაზნები დგას. ზარბაზნები, გარდა 4-სა, ძალიან ძვირფასნი რამ არიან—სულ ახალი სისტემისა, სწრაფათ სასროლებია. ის ოთხი კი ძველი სისტემის ზარბაზნებია, ვინ იცის მგონი სულთანი მახმუდას ხნისანია, 4 არშინი სიგძე აქვსთ და სიგანით კაცი ვერ შემოსწვდება; ათ ულელა ხარ-კამეჩით მოიტანეს.

ამბობენ, როცა ამ ზარბაზნებს სულ ჩამოზიდვენ, აქედგან ალექსანდრაპოლზე გაატარებენ და მერე თფილისში ჩაიტანენ; პარაკლისის გადასახდელათ ვა-

რანცოვის ძეგლის გარეშემო შემოაწყობენო.

ამ თვის 17 კიდევ მოიყვანეს 22 ტყვე ოსმალოს სალდათები; მათ შორის ერთი არაბიც ერია და უკვე თფილისისკენ გამოისტუმრეს. არტაანის მაზრის ხალხიც დატყვევებულნი იყვნენ, მაგრამ უმაღლესის ბრძანებით თავისუფლება მიენიჭათ იმ პირობით კი, რომ ჭკვიანათ იყვნენ.

არტაანი ამ ჟამად ახალქალაქს ტელეგრაფით უერთდება, მავთული უკვე გაბმულია და ჩქარა მზათ იქნება სრულებით. ფოჩტა კი იმავ თავითვე დადის. ალექსანდრაპოლისკენაც ეხლა გაჰყავთ და მგონი კიდეც მზათ არის ტელეგრაფის აპარატები.

ამასთანავე დიდ-ძალი ფულია დანიშნული მთავრობისგან, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ ფოჩტის ტრაქტი გაიმართოს ბორჯომიდგან ახალქალაქამდე, და ახალქალაქიდგან ალექსანდრაპოლამდე კი ტრაქტი მარშანვე გაიმართა. ეს ახალი ტრაქტი პირველ ივლისმზათ იქნება და მაშინ ახალციხეზე მოვლა საჭირო აღარ იქნება და სულ აუჩქარებლივ შეიძლება თფილისიდგან ახალქალაქს ერთ დღეს ამოსვლა.

ახალციხეს აჭარლების შიში აქვსთ და, როგორც ამბობენ, ბევრნი იმალებიან ახალციხის გარეშემოვო.

ეხლა მანდეთ, მგონი, სიცხით იწვით და აქ კი ჯერ მაღლობ ალაგებზე თოვლი სდევს და საგრძნობელათ ცივა. მოსავლისა ჯერ რა მოგახსენოთ: ეხლა სთესამენ და ზოგან კი ერთ მტკაველზე ჯეჯილებიცაა და, როგორც ამბობენ, კარგი პირი უჩანს.

Ილ. ალხაზაშვილი

P. S. დღეს არტაანიდგან ფურგუნებით 120 ჩვენი სალდათი დაჭრილი და ავათმყოფები მოიყვანეს აქაურ გოშპიტალში დასაწვენათ. ამათ გვიანბეს, რომ არტაანის ახლო-მახლო ბევრი დახოცილი ხალხია გაფანტულიო, ესენი ინგლისის სალდათები არიანო და ოსმალონი არ მარხვენო! აი ეს-ეს არი კიდევ შვიდ ულელა ხარ-კამეჩით ერთი ახალი სისტემის ზარბაზანი შემოაცოცეს და უკან კიდევ ბევრი მოაქვთო. ი. ა.

# საქართველო

## დღიური

*** ნათქვამია: ერთი ჭირი მარგებელიაო. ომი ხომ ჭირია და ჭირი; მაგრამ ჩვენს ხალხს ამ ომმა ის სარგებლობა მოუტანა, რომ გაზეთების კითხვას შეაჩვია. ვისაც არ დაინახავთ ახლა, ვისაც თავის დღეში გაზეთის სახელიც არ გაუგონია, ყველას ხელში უჭირავს და ჯგუფ-ჯგუფად ჰკითხულობენ. კინტოები ბრძოლის ველის მაჟურიან კარტასა შლიან და ერთმანეთს უთითებენ, რომ—აი რუსები აქ გადავიდნენო!

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთ პირებს განზრახვა აქვსთ, ომში დაჭრილთა და ავათმყოფ მეომართა სასარგებლოდ, გამოსცენ თფილისში კრება ცნობებისა ახლანდელ ომიანობაზე. ამ საგანზე მოსალაპარაკებლად, დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე, უფ. დ. ი. ყაფიანისაგან რამდენიმე პირია მოწვეული ქალაქის გამგეობის ზალაში.

*** წასულ კვირაში, მაისის 27-ს, ქალაქის მცხოვრებლების ყურადღება მიიქცია 24 ჩეჩენმა, რომელნიც გაბაწრულები მოჰყავდათ ჩვენებურ მილიციონერებს. ამბობენ, რომ ეს ჩეჩნები იმ მილიციონერებიდამ (ზაქათალის პოლკისა) არიან, რომელნიც ამას წინათ წაიყვანეს ბრძოლის ველზეო; იქიდამ გამოქცეულან, თიონეთლებს დაუჭერიათ და მთავრობისათვის წარუდგენიათო.

*** რუსის გაზეთებში იწერებიან, რომ პეტერბურღში და მოსკოვში გაუმართავთ 28 საავათმყოფოს ყველა მასალები კავკასიის არმიისათვის და ამ დღეებში უნდა გამოგზავნონო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

რადგან მთელი ქვეყანა ყურადღებას აქცევს იმას, რაც საფრანგეთში ხდება, ამის გამო ყველამ ამოიღო ხმა იმ უკანასკნელ ხეპრულ მოქმედებაზე, რომელიც 16 მაისს ჩაიდინა რესპუბლიკის პრეზიდენტმა. შესანიშნავია, რომ, რომის პაპსა და კლერიკალურ პარტიას გარდა, ერთი კაცი ყმაყოფილი არ ამოჩნდა მაკ-მაჰონისა და იმის ახალ სამინისტროსა. ყველანი როგორღაც განზე უყურებენ ამ კაცებს, თვით ვაჭრებიც, რომელთა სანუგეშოთ ისინი მუდამ იძახიან, რომ ჩვენი განძრახვა არისო, რომ საზოგადოება სოციალურის მღელვარებისა და კომუნისტებისაგან დავიცვათო, თვით ვაჭრებიც კი დაფრთხენ და პარიჟის ბირჟაზე ყველა სარგებლიანი ქაღალდის ფასმა შესამჩნევლად დაიწია.

მაგრამ ყველაზე უფრო ნაკლებად შემკრთალნი რესპუბლიკელები არიან, რომელთ საწინააღმდეგოთაც შეადგინა მაკ-მაჰონმა ეს ახალი ბროჰლისა და ფურტოს სამინისტრო. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთის მომეტებულს ნაწილს რესპუბლიკის მხარე უჭირავს და არ ეშინიანთ, რომ იმას ვინმე რაიმე დააკლოს.

— ამას წინათ გამბეტასთან იყო სტუდენტების, დეპუტაცია რომელსაც ამ გამოჩენილმა რესპუბლიკელების მოთავემ გამოუცხადა, რომ სულ ტყუილუბრალოთ გვაშინებენ ჩვენო, რომ მაკ-მაჰონი პრეზიდენტობას თავს დაანებებს და ამის გამო საფრანგეთში შეიძლება უწესოება მოხდესო. ჩვენ გვყავს ისეთი კანდიდატი ამ თანამდებობისათვისო—ტიერი—რომელიც იმაზე ნაკლებ არ დაიცვავს წესიერებას და რომელიც, რასაკვირველია, ამასთანავე მაკ-მაჰონისთანა მტერი არ იქნება კანონიერად დაფუძნებულის რესპუბლიკისაო.

## ოსმალეთი

სოფტების არეულობის (მანიფესტაციის) ჰაზრი, როგორც ახლა სჩანს, ის ყოფილა, რომ იმათ ეშინოდათ, რომ ვაი თუ ამ უნიჭო კაცების ხელში ჩავარდნილი ჩვენი ჯარი არ დაამარცხოს რუსეთმაო, და ამის გამო ჩვენი ქვეყანა იძულებული არ შეიქნესო, რომ თავის ღირსებისა და პატივის დამამცირებელი პირობით მოურიგდეს რუსეთსაო.

—ლონდონიდამ იწერებიან, რომ ამ დღეებში აქედამ გამოვიდა მიტჰხად-ფაშაო, რომელსაც რამდენიმეჯერ ჰქონდა საიდუმლო მოლაპარაკება ლორდ ბიკონსფილდთან, და ახლა პირდაპირ სტამბოლში მიდისო. ამბობენ, ხონთქარი ბოლოს დათანხმდება, რომ კიდევ ამას მისცეს მთავარ-ვეზირობა.

# ნარევი

ნემეცურს გაზეთებში მოყვანილია მოლტკეს ჰაზრი ახლანდელს რუსეთსა და ოსმალეთს შუა ბრძოლაზე. ამას წინათ ერთმა დიპლომატმა ჰკითხა თურმე იმას:

— უფ. ფელდმარშალო, ამბობენ, რომ გადაიყვანს თუ არა რუსეთი თავის ჯარს დუნაიზე, იმ წამსვე ერთ საშინლად დაამარცხებს ოსმალოებსაო და ამით გათავდება ეს ომიო. თქვენი ჰაზრი როგორია?

— თქვენ უკეთ იცით—თუ რა განზრახვა აქვს დიპლომატიას და რის გაკეთება შეუძლიან იმას. მაგრამ თუ ამ ომს სტრატეგიულის მხრით შევხედავთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მალე ვერ გათავდება, და ვერც ისე ადვილად გაიმარჯვებენ რუსები, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ. მართალია, ბევრ კარგს ამბობენ რუსეთის ჯარზე და ამ ჯარის სარდლებზე, მაგრამ ოსმალოებს ისეთი ალაგები უჭირავთ და ისე არიან ისინი გამაგრებულნი, რომ ბევრი ხანი გაივლის, სანამ დამარცხებული შეიქნებიან. ბევრი დრო, კიდევ უფრო მომეტებული მოხერხება, ბევრი ფული და მოთმინება ეჭირება რუსებს. ასე რომ, ჩემის ჰაზრით, სულგრძელება და ალტაცების შემცირება დასჭირდება იმათ, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ რუსის ჯარი მსწრაფლად წავა წინ სტამბოლისკენო...“

***

მოგვყავს „ფეტვა“ შეიხ-ულ-ისლამისა, რომლითაც ამან სამღვთო ომი გამოუცხადა რუსეთს:

„კ ი თ ხ ვ ა: თუ რომელიმე მეფე არღვევს მეგობრის პირობას და მტრად შემოდის ისლამის სამფლობელოში იმ განზრახვით, მაჰმადიანის ხალხი დაამციროს; თუ ამდროსვე ნამდვილი სარწმუნოების დამცველი—სულთანი დარწმუნებულია, რომ ამ მეფესთან ომი სასარგებლოა იმის ხალხისათვის,—განა სულთანის მოვალეობა არ არის, რომ ამ მეფის წინააღმდეგ გაგზავნოს მუსულმანის ჯარი და, ღვთის, შეწევნით, დაუმტკიცოს იმას უპირატესობა მაჰმადიანთ რჯულისა და იხელმძღვანელოს ყორანის ბრძანებით, რომელიც ამბობს: „მოჰკალი სახელითა ღვთისათა?“

„პ ა ს უ ხ ი: ამას მარტო ერთი ღმერთი უწყის, მაგრამ შერი(სამღვთო კანონი) კი ამბობს: დიახო!

„დაწერილია მცირე მონა ჰასსან ხაირულახისაგან—შეეწიოს იმას ღმერთი.“

***

ერთს სვედელ აფიცერს ენვალდს მოუგონია, ამ უკანასკნელ დროს, ისეთი სისტემის თოფი, რომელიც ყველა ახლანდელ მსწრაფლ-მსროლელ თოფებზე უფრო მოხერხებულია თურმე. ამბობენ, რომ მინუტში ეს თოფი 13-ჯერ ვარდებაო, და ამასთანავე არც ხურდება და მსუბუქიც არისო.

***

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Іюня 1877 г. Типог. Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.